

ვირსალაძის ქ. №10

(წინასაპროექტო ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა)

საკვლევი შენობა თბილისის ისტორიულ გარეთუბანში მდებარეობს - მას მტკვრის მარჯვენა ნაპირის განაშენიანებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. მის გარშემო იყრის თავს მარი ბროსეს, ს. ვირსალაძის და ჯამბულის ქუჩები, რომელთა შეხვედრის ადგილზე მარჯვენა სანაპიროს მაგისტრალთან ირეგულარული მოედანი იქმნება. შენობა მთავარი ფასადებით ამ სივრცეშია ჩართული და სრულად აღიქმება, როგორც მის წინ გაშლილი სანაპირო ზოლიდან, ისე მაგისტრალის სხვადასხვა წერტილიდან.




ვირსალაძის ქ. №10

ბროსეს, ვირსალაძის ჯამბულის და მათი მიმდებარე ქუჩების ქსელი 1840-იან წლებში ჩამოყალიბდა. დღეს აქ არსებული შენობები XIX საუკუნის მეორე ნახევრით და XX საუკუნის სხვადასხვა ათწლეულებით თარიღდება. რამდენიმე ახალი შენობა ბოლო წლებშიც აშენდა.


ძველი სახლების უმეტესობამ ცვლილებები XIX საუკუნეშივე განიცადა - შეიცვალა მათი ფასადები, სართულიანობა. ამგვარ ნიმუშს წარმოადგენდა ადრე საპროექტო შენობის ადგილზე მდგარი სახლიც - ცვლილებები კარგად ჩანს საარქივო ფოტოებზე.

უბნის ისტორიული განვითარების მოკლე მიმოხილვა


ისტორიული გაეთუბანი ქალაქის გალავნის გარეთ მტკვრის ზედა დინების მიმართულებით განვითარდა. თბილისის ყველაზე ძველ – ფრანგი მოგზაურის უან შარდენის მიერ 1671 წელს შესრულებულ ჩანახატზე ჩვენთვის საინტერესო ტერიტორია გაუნაშენიანებელია. გარეთუბანში მხოლოდ რამდენიმე ნაგებობა და ეკლესია აღნიშნული.



შარდენის 1671 წლის ჩანახატი.



გახუშტის 1735 წლის გეგმა.



1800 წლის გეგმა.

გახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის რუკაზე გარეთუბანს ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს – ის ქალაქის გალავანთან იწყება და მოიცავს ასპარეზს – ტერიტორიას დღევანდელ გ. ჭანტურიას (ყოფილი ბარიატინსკის) ქუჩამდე, რომელიც საკვლევი ტერიტორიდან ცოტა მოშორებით მდებარეობს.


1800 წლის თბილისის გეგმებზე უკვე ჩანს განაშენიანება. საპროექტო ადგილის წინ ჩაედინება მტკვრის მარჯვენა ტოტი. უკან ყაბახია - საასპარეზო მოედანი, მის გარშემო უკვე ჩანს ნაგებობები – გალავნის კედელი მტკვრის მარჯვენა ტოტის ნაპირთან, იქვეა ვანქის სომხური ეკლესია, ოდნავ მოშორებით სამების ტაძარი.

ბროსეს ქუჩა 1833-35 წლებში დააპროექტა მიწისმზომველმა ტოვარნიცკიმ. ის 1902 წლამდე წარმოადგენდა დიდი წყალსაზიდი ქუჩის ნაწილს (დღევანდელი ლალიძის ქუჩა), 1902 წელს, მარი ბროსეს 100 წლისთავთან დაკავშირებით, ქუჩის ამ მონაკვეთს ილია ჭავჭავაძის ინიციატივით ბროსეს სახელი ეწოდა. ჯამბულის ქუჩაც XIX საუკუნის I ნახევარში წარმოიქმნა, თავიდან მას წყალსაზიდის ქუჩა ერქვა. ამავე პერიოდში გაიკვალა ვირსალაძის ქუჩაც – 1844 წლის რუკაზე ის

აღნიშნულია ინკინის ქუჩის სახელით. 1922 წელს ეწოდა პარიზის კომუნის ქუჩა, 1992 წლიდან ატარებს სოლომონ (სოლიკო) ვირსალაძის სახელს.




1844 წლის გეგმა.



1867 წლის გეგმა.



1902 წლის გეგმა.



1913 წლის გეგმა.

1844, 1867, 1902 და 1913 წლების რუკები ნათლად ასახავს ჩვენთვის საინტერესო მიკროუბნის ჩამოყალიბების პროცესს. გარეთუბნის ჩრდილოეთი ბოლო, ალექსანდრეს ბაღის ქვედა ტერასის ადგილას, ყაბახს, ანუ ასპარეზს უჭირავს. მის აღმოსავლეთით ორბელიანების უბანი იყო. ამ ტერიტორიაზე - გარშემო ასპარეზსა და მტკვარს შორის ისახება ახალი ქუჩების ქსელი და მოედნები (1828 წელს გუბერნატორ სიპიაგინის დროს ყაბახის ადგილას მდებარე მოედანს

ალექსანდრეს მოედანი ეწოდა. 1859 წელს ალექსანდრეს მოედნზე, არქიტექტორ ოტო სიმონსონის პროექტის მიხედვით, გაშენდა ამავე სახელწოდების ბაზი. სხვადასხვა დროს აქ იყო ორბელიანების, გენერალ მადათოვის და თუმანიშვილების სახლები.

1844 წლის რუკაზე საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ რამდენიმე მიწის ნაკვეთია. იქვე გამავალ ხევზე კი პატარა საინჟინრო ხიდია გადებული. 1867 წელს აქ უკვე ჩნდება ქაოტური განაშენიანება. დღევანდელი ჯამბულის ქუჩის ბოლოს ნაგებობას არის აღნიშნული. 1902 წელს ხევი უკვე ამოვსებულია და აქ გამავალი კოლექტორი საპროექტო შენობის ქვეშ არის მოქცეული. 1913 წლის რუკაზე ბროსეს, ინჟინრის (ამჟამინდელი ვირსალაძის) და წყალსაზიდის (ჯამბულის) ქუჩები დღევანდელი სახით არის ჩამოყალიბებული. იგივე ხაზს ინარჩუნებს ჯამბულის ქუჩაც და შესახვევიც.



მარჯვენა სანაპიროს პანორამის ფრაგმენტი. XIX საუკუნის მიწურულის ფოტო.

ჩვენთვის საინტერესო ტერიტორია უშუალოდ ესაზღვრება ორბელიანთა ძველ უბანს. მოგვიანებით ორბელიანებმა ამ მამულს აქვე ახლოს მდებარე მტკვრის კუნძულიც შემატეს, ხოლო XIX საუკუნის 20-იან წლებში მათ კუნძული გენერალ მირბაჯან მადათოვს მიჰყიდეს. ამ წარმოშობისაა თბილისში დღემდე შემორჩენილი

მიკროტოპონიმი „მადათოვის კუნძული”, რომელსაც მანამდე „ორბელიანების კუნძული“ ერქვა. 1851 წელს არქიტექტორმ ჯოვანი სკუდიერის პროექტის მიხედვით, მტკვრის მარჯვენა ტოტზე, ვორონცოვის მცირე ხიდად წოდებული, ერთმალიანი ხიდი აიგო (დღეს ე.წ. „მშრალი ხიდი“) – ეს ხიდი იმ დროს ორბელიანების უბანს უკავშირდებოდა. ხუთმალიანი ვორონცოვის ხიდის მშენებლობა 1853 წელს დასრულდა. ხიდების მეშვეობით მადათოვის კუნძულის გავლით ერთმანეთს დაუკავშირდა მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროები. 1933 წელს მტკვრის ტოტი ამოაშრეს და კუნძული გაქრა. მარჯვენა ტოტის ადგილას სანაპირო ტრასა გაიყვანეს.




მარჯვენა სანაპიროს პანორამის ფრაგმენტი. XIX საუკუნის მიწურულის ფოტო.

უბნის განვითარებაზე ზუსტ წარმოდგენას გვიქმნის ფოტო დოკუმენტები. მათზე კარგად ჩანს, რომ ტერიტორიის განაშენიანების ხასიათს იმთავითვე განსაზღვრავდა რელიეფის გეოგრაფიული სპეციფიკა - მტკვრის მარჯვენა ტოტის ოდნავ დამრეც, კლდოვან ნაპირს მიჯრილი შენობები ამ ნაპირის კიდესთან იყო

აღმართული. მთაწმინდის ფერდისკენ მიმავალი ქუჩების ქსელის ფორმირებაც აქ არსებულმა რთულმა და დახრამულმა ლანდშაფტმა განაპირობა, რამაც ქალაქის ამ ნაწილში ქუჩების თავისუფალი ქსელი წარმოქმნა.

თბილისის რეკონსტრუქციის გენერალურ გეგმაზე მუშაობა საბჭოთა პერიოდში, 1932 წელს დაწყებული მასშტაბური ურბანული პროექტები პირველ რიგში სანაპიროების კეთილმოწყობას შეეხო და ძირეულად უცვალა მათ სახე - მარჯვენა სანაპიროს მაგისტრალის მშენებლობა 1933 წელს დაიწყო და 1935 წელს დასრულდა ვერის ხიდსა და ე.წ. „მშრალ ხიდს“ შორის მონაკვეთის მშენებლობა. ამ რეკონსტრუქციას უკავშირდება, ზემოთ ნახსენები, მტკვრის მარჯვენა მკლავის ამოშრობა, რომელიც აქ კუნძულს წარმოქმნიდა. ახალი მაგისტრალის მშენებლობამ არსებითად შეცვალა მტკვრის სანაპიროს ურბანული სახე და მისი ქალაქშენებლობითი სტრუქტურა.



ვირსალაძის ქ. №10 – XIX საუკუნის მიწურულის და 2008 წლის ფოტოები

სანაპიროს მაგისტრალის გაფართოებას ძეველი განაშენიანებისთვის დამახასიათებელი ბევრი თავისებურება ემსხვერპლა - ბუნებრივი რელიეფით ნაკარნახევი გეგმარებითი და არქიტექტურული სტრუქტურები, თავდაპირველი ნიშნულები თანდათან გაქრა, და მათი ადგილი ახალმა მოცულობებმა დაიკავა.

სანაპირო ზოლის ჩვენთვის საინტერესო მონაბეჭითი პირობითად შეიძლება მოისაზღვროს ბროსე-ვირსალაძის ქუჩების მაგისტრალთან თავშეყრის წერტილით. ქუჩის პირზე ჩამწკრივებული შენობების სივრცით-გეგმარებითი კავშირი, თავდაპირველი არქიტექტურულ მახასიათებლები დღეს დიდწილად დარღვეულია და შენობები მხოლოდ მექანიკურად ერთმანეთის არქიტექტურული სახისა და

მასშტაბის გათვალისწინების გარეშე დგას გვერდი-გვერდ. გაუაზრებელია მათ შორის შექმნილი სივრცითი პაუზებიც და ა.შ.



კირსალაძის ქ. №10 – 2018 წლის ფოტო

თუკი საბჭოთა პერიოდის პირველ ათწლეულებში აღნიშნული ტერიტორიის ურბანულ ქსოვილში ჩარევა მეტ-ნაკლებად კორექტულია და ანგარიში ეწეოდა არსებულ ურბენულ მოცემულობას, 1980-90-იანი წლებიდან პროცესი თანდათან სულ უფრო და უფრო უმართავად მიმდინარეობს. ამას ემატება ისტორიული შენობების მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება, რაც ხშირად მოუვლელობით და კომუნიკაციების შეუკეთებლობით არის გამოწვეული.

საპროექტო შენობის მიმდებარე განაშენიანება

XX საუკუნეში ქალაქმშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე განხორციელებული ცვლილებები ძირითადად სანაპიროსა და მის მიმდებარე განაშენიანებას შეეხო. ცვლილებები განიცადა ვირსალაძის ქუჩაზე – შენობების უმეტესობა აქ XX საუკუნის მეორე ნახევარში აშენდა. მათ შორის გამოირჩევა ვირსალაძის ქ. №2 - XIX საუკუნის მიწურულის ერთსართულიანი შენობა – ცნობილი ქორეოგრაფის სოლომონ ვირსალაძის მემორიალური სახლი.



ვირსალაძის ქ. №2

ის გვიან რუსული ფსევდო კლასიცისტური სტილის ნიმუშია – რუსტირებული ფასადი, მაღალი, სადად პროფილირებული კარნიზი; წაგრძელებული ფასადი დანაწევრებულია კარ-ფანჯრის თანაბარი რიტმით, კარების წინ მოწყობილია

მოგრძო წინფრები და კიბეთა მარში, ცენტრალური და კიდურა ფანჯრები საპირეების გარდა დეკორატიული სანდრიკებით არის აქცენტირებული. ცვლილებების მიუხედავად აქეს შენობა ინარჩუნებს თავდაპირველ გარემოს. ბროსესა და ჯამბულის ქუჩების განაშენიანება მჭიდროა. ბროსეს ქუჩაზე საპროექტო შენობის მიმდებარედ თავდაპირველი გარემო უცვლელად არის შენარჩუნებული. მის არქიტექტურულ კონტექსტს განაპირობებს ისტორიული შენობები - XIX საუკუნის სხვადასხვა მონაკვეთში აგებული და არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხული საცხოვრებელი სახლები, რომლებიც XIX საუკუნის მიწურულის ფოტოებზეც არის ასახული: ბროსეს ქ. №11/16; №9; №7; №5, №3, ჯამბულის ქ. №4, №8 და სხვა.




გ. ბროსეს ქ. №№7, 9, 11/16.

ბროსეს ქუჩა გამოირჩევა არქიტექტურული სტილების მრავალფეროვნებით – ქუჩის კუთხესთან ყურადღებას იქცევს საცხოვრებელი სახლი - №7, რომელსაც ქუჩის მხარეს XIX საუკუნის 50-იანი წლების თბილისის არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ხის შეკიდული აუქრული აივანი აქვს. საარქივო ფოტოზე იგივე შენობა დაფაიქსირებულია გადაკეთებამდე. პირველად, როგორც ჩანს, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გადაკეთდა, როდესაც ფასადებზე გაჩნდა მოდერნული ელემენტები. მეგვიანებით კი ამოიქოლა ბროსეს ქუჩისკენ რეზონა შექრილი ხისაივნებიანი შიდა ეზო და მის ადგილას საცხოვრებელი “სეგმენტი” გაჩნდა.

1840-50-იანი წლებიდან ქუჩისკენ შეკიდული ხის უკვე აღარ წარმოადგენს საცხოვრებლების მთავარ კომპონენტს – ამ დროიდან რკინის აივნები კეთდება, ხე თითქმის აღარ გამოიყენება. ამ მხრივ საინტერესოა მეზობელი შენობა - ბროსეს ქ. №9 საცხოვრებელი სახლი, რომლის ფსევდოკლასიცისტური სტილის ფასადი თითქმის უცვლელად შემოინახა. მოგვიანებით შემინეს მხოლოდ ლითონის აივანი.

ბროსე ქ. №11 სახლს საპროექტო შენობისგან ჯამბულის ვიწრო ქუჩა ჰყოფს. საარქივო ფოტოზე შენობა სამ სართულიანია. ის იმთავითვე გამოირჩეოდა სადა, თითქმის შეუმკველი ფასადებით, ფანჯრების ერთგვაროვანი რიტმით და არსებული განაშენიანების შესაბამისი მასშტაბით. XX ს-ის შუა წლებში მას მეოთხე სართული დააშენეს. რასაც პრაქტიკულად არ შეუცვლია შენობის მასშტაბი და არქიტექტურული პროპორციები.



XIX საუკუნის მიწურულის ფოტო – ბროსეს ქ. №№7, 9, 11 შენობები.

ეს ის უმთავრესი შენობებია, რომლებიც უშუალოდ განსაზღვრავს საპროექტო შენობის უახლოეს ისტორიულ გარემოს.

საპროექტო შენობის ისტორია

სახლს, რომელიც საპროექტო შენობის ადგილზე იდგა (ვირსალაძის ქ. №10) კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული (სააღრიცხვო ბარათი №010307027) – ის დღევანდელი ბროსესა და ვირსალაძის ქუჩების კუთხესთან XIX საუკუნის მეორე ნახევარშია აშენდა და XIX საუკუნის ბოლოს გადაკეთდა. მას ურბანული თვალსაზრისით დირექტული მდებარეობა ჰქონდა – ზუსტად მასთან იყრიდა თავს ბროსეს, ვირსალაძისა და ჯამბულის ქუჩები, რომლებიც დღემდე განსაზღვრავს ამ უბნის ურბანული სტრუქტურის ხასიათს.



ვირსალაძის ქ. №10 – 2008 წლის ფოტო.

ვირსალაძის ქ. №10 სახლს უკავებდა ჰემპტები ჰელიუს მიერ 1900 წელს. მასთან ერთად მისამართი გადასახლდა ვირსალაძის და ბროსეს ქუჩების თავისუფალ რელიეფს.

უკან შენობას პქონდა პატარა შიდა ეზო. დემონტაჟამდე შენობა სამ სართულიანი იყო და დამატებით პქონდა სახურავის ქვეშ მოქცეული მანსარდი. ბროსეს ქუჩის მხრიდან დამრეცი რელიეფის გამო ფასადის პირველი სართული სანახევროდ მიწაში იყო მოქცეული. ფასადის გაფორმება XIX საუკუნის მიწურულის რენესანსულ-კლასიცისტური ეკლექტიზმის ნიმუშებს მისდევდა. ყველაზე მეტი დეკორი მესამე სართულის “კუთხის” ფანჯრის ირგვლივ იყო კონცენტრირებული – ფანჯარ ფლანკირებული იყო დეკორატიული კაპიტელებით გასრულებული ბრტყელი, კანელურებიანი პილასტრებით, მეორე სართულის ფანჯრის ჩარჩოს აქ სანდრიკი ემატებოდა, რომელიც ადამიანის სახეებით შექმნილ კრონშტეინებს ეფუძნებოდა. ასეთი საფასადო დეკორი თბილისური ფასადების სხვა მრავალი სკულპტურული დეტალის მსგავსად, მზა მოდელით კეთდებოდა.



ვირსალაძის ქ. №10 – 2008 წლის ფოტო.

შენობის პირვანდელი სახე არაერთხელ იყო შეცვლილი, ჯერ ორსართულიან სახლს მესამე სართული დააშენეს, მემდეგ სახურავის ქვეშ მანსარდი მოაწყეს. 2010 წელს ძველი ავარიული სახლი დაანგრიეს და მის ნაცვლად ახალი რამდენიმე სართულიანი მოცულობა აშენდა. ცვლილებები ითვალისწინებს,

როგორც შენობის თავდაპირველ არქიტექტურულ სტრუქტურას, ისე მის ადგილს განაშენიანებაში – ქუჩების მხარეს გეგმარება არსებითად არ შეცვლილა, თუმცა ეზო შეივსო ახალი მოცულობით.



ვიზსალაძის ქ. №10 – 2018 წლის ფოტო.

ახალი შენობა იმეორებს ძველის გეგმარებას და ფასადების დეკორატიული მორთულობის ზოდაგ სქემს. ბლოკით ნაშენი სახლი შეღესილია და შეღებილი – ძირითადი სიბრტყე ლია სპილოსმვლისფრად, არქიტექტურული დეკორი და პროფილები კი თეორად. ფასადის სიბრტყე ოთხივე სართულზე ნალესობაში გამოყვანილი რუსტიკის იმიტაციით არის დაფარული. შენობა ქუჩების გადაკვეთასთან წაკვეთილი კუთხით დგას, მისი წინამორბედის მსგავსად. ამგვარ გეგმარებით გადაწყვეტას ხშირად ვხვდებით თბილისის

ქუჩების “კუთხის შენობებში”. დეკორატიული დამუშავების თვალსაზრისითაც მეტი დატვირთვა დღესაც შენობის კუთხის სეგმენტზე მოდის. ეს ხერხი შენობის ვიზუალურ სიმეტრიულობასაც უსვამს ხაზს.

მეტი ყურადღება ეთმობა მეოთხე სართულის გამასრულებელი კარნიზისა და შენობის წაკვეთილი კუთხის სეგმენტის დეკორატიულ დამუშავებას. მესამე სართულის გამასრულებელი სარტყელი და კარნიზის დეკორი შედარებით განვითარებულია – სადად პროფილირებული კარნიზი დეკორატიულად დამუშავებულ კრონშტეინებს ეყრდნობა. ის კარ-ფანჯრის ღიობებისა და მათ შორის მოქცეული თავისუფალი არეების შესაბამისად დანაწევრებულია მოჩარჩოებული მართკუთხა არეებით – ამგვარი იყო თავდაპირველი შენობის დამუშავების სქემა, რომელიც მისი დემონტაჟის შემდეგ, ახლად აგებულ გაზრდილი მოცულობის მქონე შენობაში გაიმეორეს. ფასადები აქაც მკაფიო პორიზონტალებად არის დანაწევრებული. მეორე, მესამე და მეოთხე სართულებზე რიტმულად მეორდება ე.წ. ფრანგული აივნები. ბროსეს და ვირსალაძის ქუჩების საფასადო გაფორმება იდენტურია.

სახლს აქვს გადახურვის პერიმეტრის სიღრმეში მოწყობილი მანსარდი, რომელიც არ არღვევს შენობის მთლიანობას და შეესაბამება გვედით მდებარე ახალი შენობების მასშტაბს.

დასკვნა და რეკომენდაციები

საპროექტო წინადადებით გათვალსიწინებულია შენობის მანსარდის გადაკეთება და ერთ იარუსიანი მანსარდის ორიარუსიანად გადაკეთება.

შენობა, რომელიც ძველის ადგილზე აიგო, ინარჩუნებს 2007 წელს მინიჭებულ ძეგლის სტატუსს. ის ღირებულება კი, რაც თავდაპირველ შენობას გააჩნდა, როგორც მხატვრულ-არქიტექტურულად, ისე ისტორიული თვალსაზრისით აღარ არსებობს და სტატუსი სრულიად ფორმალურია, რომელიც მხოლოდ ძველმა მისამართმა შეინარჩუნა.

ვირსალაძის ქ. №10-ში მდებარე ძველი შენობის ადგილას განსხვავებული მასშტაბი დამკვიდრდა. მის გვერდით კი, იქ სადაც ადრე ერთსართულიანი შენობები იდგა, დღეს ახალი ხუთსართულიანი სახლის მშენებლობა მიმდინარეობს.



ვირსალაძის ქ. №10 – 2008 და 2018 წლის ფოტოები.

ახალ შენობაზე, რომელიც ისტორიულ-არქიტექტურულად არაღირებულია, საპროექტო წინადადებით გათვალისწინებული ჩარევა დასაშვებია.

პროექტირებისას სასურველია შეიცვალოს დღეს არსებული მანსარდის არქიტექტურული სახე, რომლის მარტივი სწორკუთხა ღიობები და სქემატური თეთრი ფერის კედლის სიბრტყე დაუსრულებელი მოცულობის შტაბეჭდილებას ტოვებს. მისაღებია მანსარდისათვის შენობისგან განსხვავებული ფერისა და ფაქტურის მასალის გამოყენება, მისი ვერტიკალურად დანაწევრება.

სიძველის იმიტაციით შექმნილ ფასადებს, სასურველია, მკაფიოდ განსხვავებული და უფრო მინიმალისტური დიზაინი „დაუპირისპირება“.

სელოვნებათმცოდნე
მარინე ხატიაშვილი

გ. სული